პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

დეკარბონიზაცია და კლიმატის მიმართ მედეგობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EU4ClimateResilience)

განხორციელების ვადა: 01.01.2024 - 31.12.2027

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 17 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 19 583 849

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ), Organisation for Economic Cooperation and Development (OECD)

პროექტის აღწერა:

მრავალი დონორის მიერ დაფინანსებული პროექტი -EU4ClimateResilience- მხარს უჭერს მწვანე გადასვლას, აძლიერებს დეკარბონიზაციას, ზრდის ენერგო უსაფრთხოებასა და კლიმატის მიმართ მედეგობას აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა). იგი ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების და ადაპტაციის პოლიტიკის გაუმჯობესებას პარიზის შეთანხმების (PA) და ევროკავშირთან ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს ტექნიკურ დახმარებას ქვეყნის 2025 წლის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) განახლების პროცესში, მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებას და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას სამომავლოდ NDC-ის განახლების მიმართულებით. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს მონიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის (MRV) სისტემების შემუშავებას და დანერგვას და კლიმატის ცვლილების ინტეგრაციას სექტორულ პოლიტიკაში.

აქტივობა ასევე მხარს უჭერს ადგილობრივ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კლიმატის მიმართ მედეგობის ზრდას. ინვესტიციების მობილიზებისთვის მიმართული ძალისხმევა ხელს უწყობს მწვანე ობლიგაციების გამოშვებას. უკრაინაში მიმდინარე საქმიანობა ეფექტიანად პასუხობს რუსეთის ომის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის საჭიროებებს. პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის და გერმანიის გარემოს, ბირთვული უსაფრთხოების და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს (BMUV) მიერ და ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის GIZ-ისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

მოსალოდნელი შედეგები:

1. კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის ჩარჩოები და სტრატეგიები განახლებულია. განხორციელება წინ მიიწევს.
2. გაუმჯობესებულია მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემები.
3. კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სარგებელი წარმოჩენილია 10-მდე სადემონსტრაციო პროექტის მეშვეობით, მათ შორის ჯანსაღი ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით.
4. მწვანე დაფინანსების ეროვნული რეგულირების ჩარჩოები გაძლიერებულია და სამი მწვანე ობლიგაცია გამოშვებულია.
5. უზრუნველყოფილია უკრაინის ომის შემდგომი მწვანე აღდგენის მხარდაჭერა მწვანე და ციფრული დღის წესრიგის შესაბამისად.